დანართი N13

„დამტკიცებულია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

თავმჯდომარის 2021 წლის 20 ---12------ N 49 გრძანებით

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი**
**საბჭოს აპარატის უფროსის სამდივნოს**

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## თავი I
## ზოგადი დებულებები

### მუხლი 1

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - უმაღლესი საბჭო) აპარატის უფროსის სამდივნო (შემდგომში – „სამდივნო“) არის უმაღლესი საბჭოს აპარატის (შემდგომში - უმაღლესი საბჭოს აპარატი) სტრუქტურული ერთეული, რომლის ძირითადი ფუნქციაა უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსისა და აპარატის უფროსის მოადგილის ადმინისტრაციული საქმიანობის უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სამდივნო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებით, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით, ამ დებულებითა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სხვა აქტებით.

## თავი II
## სამდივნოს ამოცანები და ფუნქციები
## სამდივნოს შემადგენლობა

### მუხლი 2

1. სამდივნოს ამოცანები და ფუნქციებია:

ა) უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსისათვის, აპარატის უფროსის მოადგილისათვის ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებაში ხელის შეწყობა;

ბ) უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის, აპარატის უფროსის მოადგილის სამართლებრივი, საინფორმაციო და ანალიტიკური უზრუნველყოფა;

გ) უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის, აპარატის უფროსის მოადგილის საქმიანობის ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა;

დ) უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსთან თათბირებისა და მოქალაქეთა მიღებების ორგანიზება.

2. სამდივნოს საჯარო მოსამსახურეები არიან:

ა) მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნოს უფროსი;

ბ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

3. სამდივნოს თანამშრომლები არიან პროფესიული საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც ახორციელებენ კანონმდებლობით, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით, სამდივნოს დებულებითა და სამუშაო აღწერილობებით მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს.

4. სამდივნოს საჯარო მოსამსახურეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

## თავი III
## სამდივნოს მართვა

### მუხლი 3

1. სამდივნოს ხელმძღვანელობს სამდივნოს უფროსი.

2. სამდივნოს უფროსი არის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამდებობის პირი.

3. სამდივნოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამდივნოს საქმიანობას და პასუხს აგებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წინაშე დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შესრულებისათვის;

ბ) ხელს აწერს სამდივნოს კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურეობრივ დოკუმენტაციას;

გ) ანაწილებს სამსახურეობრივ კორესპოდენციას დაქვემდებარებულ თანამშრომლებზე და უზრუნველყოფს მათი შესრულების კონტროლს;

დ) უფლებამოსილია სამდივნოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია, დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) უზრუნველყოფს სამდივნოს ურთიერთობას უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და ფრაქციების აპარატებთან.

4. სამდივნოს უფროსის არყოფნის შემთხვევაში სამდივნოს უფროსის მოვალეობას დროებით ასრულებს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

## თავი IV
## დასკვნითი დებულებები

### მუხლი 4

1. სამდივნოს დებულებას უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით ბრძანებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

2. სამდივნოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით.

3. სამდივნოს რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.